პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977
ოთხშაბათი
25
მაისი
№ 121
(16861)
ფასი
2 კაპ.
1977

**გუშინ გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მოის-მინა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ.**

პლენუმმა ძირითადად მოიწონა საკონსტიტუციო კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი და ურჩია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს გაიტანოს იგი საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

# საინფორმაციო ცნობა
## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1977 წლის 24 მაისს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ“.

თავის მოხსენებაში ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი უწინარეს ყოვლისა შეეხო საკითხს, თუ რატომ გახდა საჭირო სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შექმნა. ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მიღებიდან ოთხი ათწლეულის განმავლობაში, თქვა მან, ჩვენს ქვეყანაში, მთელ ჩვენს საზოგადოებაში ღრმა ცვლილებები მოხდა. საბჭოთა კავშირში აშენებულია განვითარებული, მომწიფებული სოციალისტური საზოგადოება, დიდი, პრინციპული ცვლილებები შეეხო საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სოციალისტური მშენებლობის წარმატებების შედეგად. ძირფესვიანად შეიცვალა ქვეყნის ეკონომიკა. მასში განუყოფლად ბატონობს საკუთრების სოციალისტური ფორმები, ერთიანი მძლავრი სახალხო-სამეურნეო ორგანიზმი ვითარდება სოციალისტური წყობილების უპირატესობებთან მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების შეხამების საფუძველზე. იზრდება საბჭოთა საზოგადოების სოციალური ერთგვაროვნება. კიდევ უფრო განმტკიცდა მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის ურღვევი კავშირი, თანდათანობით იშლება განსხვავება ძირითად სოციალურ ჯგუფებს შორის. ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ცხოვრების განვითარება სულ უფრო აახლოებს მათ ერთმანეთთან. შეიქმნა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. მომწიფებული სოციალიზმის აშენებასთან, მუშათა კლასის იდეურ-პოლიტიკურ პოზიციებზე მოსახლეობის ყველა ფენის გადასვლასთან ერთად ჩვენი სახელმწიფოც, რომელიც წარმოიშვა როგორც პროლეტარიატის დიქტატურა, საყოველთაო-სახალხო სახელმწიფოდ იქცა. ძლიერ შეიცვალა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა და მსოფლიოს მთელი სოციალურ-პოლიტიკური სახე. ბოლო მოეღო სსრ კავშირის კაპიტალისტურ გარემოცვას. სოციალიზმი გადაიქცა მსოფლიო სისტემად, შეიქმნა მძლავრი სოციალისტური თანამეგობრობა. არსებითად შესუსტდა მსოფლიო კაპიტალიზმის პოზიციები. რამდენიმე ათეული ახალგაზრდა სახელმწიფო, ყოფილი კოლონიები, ილაშქრებენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ. შეიქმნა რეალური შესაძლებლობა თავიდან ავიცილოთ ახალი მსოფლიო ომი, თუმცა ეს ჯერ კიდევ დიდ და მტკიცე ღონისძიებებს მოითხოვს.

ეყრდნობა რა მიღწეულს, საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახლა წყვეტს კომუნისტური მშენებლობის ისტორიულ ამოცანებს.

ყველა ეს ცვლილება აისახა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში სკკპ XXV ყრილობის დებულებების შესაბამისად.

პროექტის მომზადების დროს მთლიანად იყო გათვალისწინებული საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის ის პრინციპები, რომლებსაც საფუძველი ჯერ კიდევ ვ. ი. ლენინმა ჩაუყარა, საბჭოთა სახელმწიფოს წინანდელი კონსტიტუციების დებულებანი, აგრეთვე მრავალი ახალი საკანონმდებლო აქტი, რომლებიც უკანასკნელი წლების მანძილზეა მიღებული და აწესრიგებს საზოგადოებრივი ურთიერთობის სხვადასხვა დარგს სსრ კავშირში. გათვალისწინებული იყო აგრეთვე ძმური სოციალისტური სახელმწიფოების კონსტიტუციური განვითარების გამოცდილება. ასეთია საიმედო საფუძვლები, რომლებსაც ახალი კონსტიტუციის პროექტი ეყრდნობა.

ამ პროექტის შინაარსისათვის, რომელიც ასახავს ახალ ეტაპს ჩვენი სახელმწიფოს განვითარებაში, საბჭოთა ხალხის უმნიშვნელოვანეს მიღწევებსა და მის წინაშე დასახულ კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს, უწინარეს ყოვლისა დამახასიათებელია, როგორც მთავარი მიმართულება, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაფართოება და გაღრმავება.

სწორედ ამ მიმართულებით განვითარდა პროექტში ყველა საფეხურის საბჭოების, როგორც სოციალისტური სახელმწიფოს პოლიტიკური საფუძვლის, ჩამოყალიბებისა და საქმიანობის პრინციპები. ამავე მიმართულებით ფართოდ მუშავდება პროექტში დებულებები საბჭოთა მოქალაქეების უფლებათა შესახებ, მათ შორის მათი სოციალურ-ეკონომიკური უფლებები, მოქალაქეობრივი უფლებები და თავისუფლებები, სახელმწიფოს წინაშე, ხალხის წინაშე მოქალაქეთა მოვალეობებთან ერთად.

ამავე მიმართულებისაა კონსტიტუციის პროექტში ჩამოყალიბებული დებულებანი სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების შესახებ.

პროექტის სპეციალურ თავში „სოციალური განვითარება და კულტურა“ ნათქვამია, რომ სახელმწიფო ზრუნავს განათლების, მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებისათვის, მოქალაქეთა შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

პროექტში ეროვნულ-სახელმწიფო წყობის საკითხთა გადაწყვეტა უზრუნველყოფს ჩვენი მრავალეროვანი კავშირის საერთო ინტერესებისა და თვითეული მისი შემადგენელი რესპუბლიკის ინტერესების ნამდვილ დემოკრატიულ შეხამებას, უზრუნველყოფს საბჭოთა ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ყოველმხრივ აყვავებასა და განუხრელ დაახლოებას.

ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის მძლავრ ზრდასთან არის დაკავშირებული ჩვენი სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ძირითადი პრინციპების შეტანა პროექტში.

ახალი კონსტიტუციის პროექტის სპეციალური თავები ეძღვნება სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარულ ლენინურ საგარეო პოლიტიკას და სოციალისტური სამშობლოს დაცვას.

ახალი კონსტიტუციის მიღებას,—ხაზგასმით აღნიშნა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, — უდიდესი მნიშვნელობა ექნება როგორც ქვეყნის საშინაო ცხოვრებისათვის, ისე საერთაშორისო ასპარეზზე სოციალიზმის, მშვიდობისა და პროგრესის ძალების პოზიციების განმტკიცებისათვისაც.

ახალი კონსტიტუციის დებულებების რეალიზაციამ თვისებრივად ახალ საფეხურზე უნდა აიყვანოს მთელი ჩვენი სახელმწიფო და სამეურნეო საქმიანობა, ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების მთელი მუშაობა, იგი მილიონობით საბჭოთა ადამიანს საშუალებას მისცემს კიდევ უფრო აქტიურად ჩაებას ეკონომიკის მართვაში, სახელმწიფო აპარატის მუშაობისადმი კონტროლში.

ჩვენი ახალი კონსტიტუცია, აღნიშნა ამხ. ბრეჟნევმა, თვალსაჩინოდ უჩვენებს მთელ მსოფლიოს, როგორ ვითარდება სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც სულ უფრო მტკიცედ და ღრმად ამკვიდრებს სოციალისტურ დემოკრატიას, თვალსაჩინოდ უჩვენებს, როგორია იგი, ეს სოციალისტური დემოკრატია, რა არის მისი დედაარსი.

ჩვენი ახალი კონსტიტუცია გაამდიდრებს მსოფლიო სოციალიზმის გამოცდილების საერთო საგანძურს, იქნება საზღვარგარეთის მშრომელთა განმათავისუფლებელი ბრძოლის შთამაგონებელი მაგალითი.

შემდეგ ამხ. ბრეჟნევი შეეხო ქვეყნის პარტიული და საბჭოთა ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ამოცანებს ახალი კონსტიტუციის პროექტის მომავალ საყოველთაო-სახალხო განხილვასთან დაკავშირებით. მან მოუწოდა უზრუნველყოფილ იქნეს კონსტიტუციის პროექტის მაქსიმალურად ფართო, თავისუფალი და ნამდვილი საქმიანი განხილვა.

ჩვენი სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების ძირითად საკითხთა საყოველთაო-სახალხო განხილვა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსშესანიშნავ წელს, თქვა ამხ. ბრეჟნევმა, ამ განხილვაში მშრომელთა უფართოესი მასების აქტიური მონაწილეობა მძლავრი სტიმული იქნება ქვეყნის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების აქტივიზაციისათვის, ხალხს შემატებს ახალ შემოქმედებით ძალებს, გამოიწვევს სოციალისტური შეჯიბრების ახალ გაქანებას.

დასასრულ ამხ. ბრეჟნევმა თქვა: სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღება დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიაში. იგი იქნება ჩვენი ლენინური პარტიის, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს, მთელი საბჭოთა ხალხის კიდევ ერთი ისტორიული წვლილი კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში და ამასთან თავისუფლებისათვის, კაცობრიობის პროგრესისათვის, ქვეყნად მტკიცე მშვიდობისათვის მშრომელთა ბრძოლის ინტერნაციონალურ საქმეში.

ამხ. ბრეჟნევის მოხსენების გამო კამათში მონაწილეობდნენ: ამხანაგები ბ. ვ. კაჩურა — უკრაინის კომპარტიის დონეცკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ლ ბ. ერმინი — სკკპ პენზის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ე. ნ. აუელბეკოვი — ყაზახეთის კომპარტიის კოქჩეტავის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. პ. ორლოვი — სკკპ კუიბიშევის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, მ. მ. მუსახანოვი — უზბეკეთის კომპარტიის ტაშკენტის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ვ. გრიშინი — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, გ. ვ. რომანოვი — სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ვ. შჩერბიცკი — უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ძირითადად მოიწონა საკონსტიტუციო კომისიის მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი და ურჩია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს გაიტანოს იგი საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ამ საკითხზე მიიღო დადგენილება, რომელიც დღეს ქვეყნდება.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოისმინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. მ. ა. სუსლოვის ინფორმაცია „სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნის შესახებ“. პლენუმმა მოიწონა სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი და მუსიკალური რედაქცია და ეს საკითხი განსახილველად გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა აგრეთვე ორგანიზაციული საკითხები:

პლენუმმა ამხ. ნ. ვ. პოდგორნი გაათავისუფლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის მოვალეობისაგან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. კ. ვ. რუსაკოვი.

პლენუმმა ამხ. კ. თ. კატუშევი გაათავისუფლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში სამუშაოზე გადასვლის გამო.

ამით ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

# საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ
## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, მიღებული 1977 წლის 24 მაისს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მოისმინა და განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ“, ადგენს:

1. მოწონებულ იქნას ძირითადად საკონსტიტუციო კომისიის მიერ წარმოდგენილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტი.

2. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტის საკითხი გადაეცეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და ერჩიოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს გამოიტანოს იგი საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

# საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის შესახებ
## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, მიღებული 1977 წლის 24 მაისს

მოწონებულ იქნას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი და მუსიკალური რედაქცია და გადაეცეს დასამტკიცებლად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# უმნიშვნელოვანეს მშენებლობებს — შეუნელებელი ყურადღება

**უმნიშვნელოვანესი ობიექტების მშენებლობის დაჩქარების აუცილებლობა გამოიწვია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახულმა ამოცანამ დაამთავრონ რესპუბლიკაში საიუბილეო წლის პირველი ნახევარი ისე, რომ არ ჰყავდეთ ჩამორჩენილი სამრეწველო საწარმოები, და შეასრულონ გენერალური იჯარისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ნახევარი წლის პროგრამა.**

ამის მისაღწევ ღონისძიებათა განსაზღვრას მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში თათბირი, რომელზეც მოწვეულნი იყვნენ მშენებლობის ხელშემწყობი საქალაქო და რაიონული შტაბების ხელმძღვანელები — პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, აგრეთვე იმ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, რომლებიც მშენებლობას ეწევიან.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგემ გ. ა. ანდრონიკაშვილმა, რომელმაც შეკრებილთ გააცნო რესპუბლიკის უმნიშვნელოვანეს მშენებლობებზე საქმის საერთო მდგომარეობა.

აღინიშნა, რომ ამ ობიექტების მშენებლობა მიმდინარეობს არადამაკმაყოფილებლად, ბევრი მათგანის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმები არ სრულდება, ფერხდება სამუშაოთა ასამუშავებელი გრაფიკების შედგენა. ამავე დროს მშენებლობის ხელშემწყობი ყველა შტაბი როდი იჩენს ჯეროვან ოპერატიულობას, კომპეტენტურობას, სიმტკიცეს მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში, არ ახდენს გავლენას მოიჯარადრეებთან შემკვეთების ურთიერთობაზე, საჭირო ღონისძიებებს არ ახორციელებს, რათა უზრუნველყოს მშენებლობები კადრებით, გააუმჯობესოს მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები, ყოველივე ეს კი უაღრესად აუცილებელია.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები.

დაისახა მშენებლობის ხელშემწყობი შტაბების მუშაობის აქტივიზაციის ღონისძიებანი, რათა მათ უახლოეს დროში გააძლიერონ თავიანთი გავლენა რესპუბლიკის უმნიშვნელოვანესი მშენებლობების საქმეთა მდგომარეობაზე.

თათბირის შედეგები შეაჯამა ამხ. გ. ა. ანდრონიკაშვილმა.

თათბირში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ი. ვადაჭკორია, ზ. ა. ბელდიაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ბ. ზ. ბარსუკოვი, შ. ზ. ბერიანიძე. (საქინფორმი).

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

# მეტი ყურადღება სარწყავ მიწათმოქმედებას

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა 1977 წლის რწყვის სეზონისათვის მზადების საკითხები.**

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სარწყავი მიწების გამოყენება. შარშან მეტმა წილმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დროულად და ხარისხიანად შეასრულეს სამელიორაციო და აგროტექნიკურ სამუშაოთა კომპლექსი. ამასთან შემოწმებამ ცხადყო, რომ მთელი რიგი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები და მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მათი სამმართველოები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რწყვის სამუშაოებს. 1976 წელს 358,1 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწებიდან მოურწყავი დარჩა 51.214 ჰექტარი. მოურწყავი დარჩა დიდი ფართობები სიღნაღის, გურჯაანის, საგარეჯოს, თელავის, ახმეტის, ლაგოდეხის, გარდაბნის, ახალქალაქის, კასპისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში. სარწყავი მიწებისა და სარწყავი წყლის არაეფექტიანი და არარაციონალური გამოყენების შედეგი იყო ის, რომ მეტ წილ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სარწყავი მიწებიდან მცირე მოსავალი მიიღეს.

ზოგიერთი რაიონის ადგილობრივმა სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, ხაზგასმულია დადგენილებაში, ვერ გაითვალისწინეს წინა წლის ნაკლოვანებანი. არადამაკმაყოფილებლად სრულდება მაგისტრალური და შიდასამეურნეო არხების საწმენდი სამუშაოები, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მიმდინარე და კაპიტალური რემონტი, სატუმბავი დანადგარებისა და დასაწვიმებელი აპარატების შეკეთება გორის, ხაშურის, თელავის, ახალციხისა და საგარეჯოს რაიონებში, აგრეთვე ქალაქ წყალტუბოს ზონაში. მთელი რიგი რაიონების მეურნეობათა ხელმძღვანელები და სპეციალისტები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მოძრავი სარწყავი ტექნიკის გამოყენების, მისი შენახვისა და მოვლის საქმეს. ნორმალურ რწყვას მნიშვნელოვან წილად ხელს უშლის ის, რომ მეურნეობები უზრუნველყოფილი არ არიან კვალიფიციური მრწყველებით. ამასთან ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა მათ მომზადებას. მეურნეობათა ხელმძღვანელები ურიგდებიან სარწყავი წყლის დიდ დანაკარგებს, ცუდად აწყობენ საშემოდგომო, საზამთრო და საგაზაფხულო ტენსაგროვებელ რწყვას, რის შედეგადაც ზაფხულის გვალვიან პერიოდში სარწყავი სისტემები ვერ აკმაყოფილებენ ერთდროულად ყველა მომხმარებელს.

ასრულებენ რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „რესპუბლიკაში მცირე მელიორაციის განვითარების ღონისძიებათა შესახებ", მთელმა რიგმა რაიონებმა, ადგილობრივმა საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს, რამაც შარშან უზრუნველყო 15 ათასი ჰექტარის მორწყვა. აგებულია 6 მილიონ კუბურ მეტრამდე საერთო ტევადობის 84 წყალსაცავი და გუბურა. მცირე მელიორაცია ფართოდ დაინერგა ახალქალაქის, ყვარლის, წითელწყაროს, ლაგოდეხის, საგარეჯოს, წალკისა და დმანისის რაიონების მეურნეობებში. მაგრამ ამ მიმართულებით გაწეული მუშაობა ჯერ კიდევ საკმარისი არ არის. სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროების სპეციალისტებს ჯეროვნად არ შეუსწავლიათ მცირე მელიორაციის განვითარების შესაძლებლობანი. მხოლოდ 14 რაიონში დაზუსტებული მცირე მელიორაციის განვითარებისათვის ადგილობრივი რესურსების გამოყენების პერსპექტივები. ამასთან თიანეთის, ადიგენის, ასპინძის, ახალციხისა და სხვა რაიონებში, სადაც მცირე წყალსატევების მოწყობის ხელსაყრელი პირობებია, ამ მიმართულებით შესაბამისი მუშაობა არ მიმდინარეობს. საგარეჯოს, კასპის რაიონებში შექმნილია სამეურნეობათშორისო სამელიორაციო გაერთიანებანი, მაგრამ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ამ კარგ წამოწყებას ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ, რის გამო გაერთიანებების მუშაობაში ჯერ კიდევ მიღწეული არ არის დადებითი შედეგები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ აღნიშნა, რომ მელიორაციისა და წყალთამეურნეობის, სოფლის მეურნეობის სამინისტროებისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების მუშაობა სარწყავი მიწათმოქმედების განვითარების საქმეში ჯერ კიდევ არ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს სოფლის მეურნეობის კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მიღების უზრუნველყოფისათვის და მათი საქმიანობა ამ მიმართულებით არადამაკმაყოფილებლად მიაჩნია. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები, მათი სოფლის მეურნეობის სამმართველოები, მელიორაციისა და წყალთამეურნეობის სამმართველოები, საწარმოო სამელიორაციო გაერთიანებანი, „საქსოფლტექნიკის" რაიონული გაერთიანებანი და განყოფილებანი, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების ხელმძღვანელები ვალდებული არიან:

შეიმუშაონ და განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი სარწყავი მიწების ეფექტიანი გამოყენებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სათესი ფართობების სტრუქტურის გაუმჯობესებას, მინერალური და ორგანული სასუქების, სარწყავი წყლისა და ტექნიკის უფრო სრულყოფილად გამოყენებას, რწყვის რეჟიმის დაცვას, უზრუნველყონ ღამით რწყვა, სარწყავი და ურწყავი მიწებიდან მიღებული მოსავლის ცალ-ცალკე აღრიცხვა;

გაადიდონ სარწყავი მიწათმოქმედების მუშაკთა პერსონალური პასუხისმგებლობა, დააკომპლექტონ მელიორატორთა და მრწყველთა, დასაწვიმებელი მანქანებისა და სატუმბავი სადგურების მომსახური მერემონტეების, სპეციალისტების მუდმივი ბრიგადები;

რწყვის პერიოდში თვეში ორჯერ შეამოწმონ, რამდენად სწორად მიმდინარეობს იგი, განახორციელონ ღონისძიებანი იმ პირთა მიმართ, რომელთა მიზეზით ირღვევა რწყვის წესები და ვადები, აწარმოონ შემოსული და გამოყენებული წყლის ზუსტი აღრიცხვა, აღმოფხვრან გამოვლენილი ნაკლოვანებანი; უზრუნველყონ შიდასამეურნეო სტაციონარული და მოძრავი სატუმბავი სადგურებისა და სხვა სარწყავი აგრეგატების შეკეთება;

განიხილონ 1976 წელს სარწყავი მიწების გამოყენების შედეგები და მკაცრად მოჰკითხონ მუშაკებს, რომლებსაც პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ სარწყავი მიწების ეფექტიანი გამოყენებისათვის.

მელიორაციისა და წყალთამეურნეობის სამინისტრო ვალდებულია: უზრუნველყოს მაგისტრალური, სამეურნეობათაშორისო და შიდასამეურნეო სარწყავი არხების გაწმენდა და შეკეთება, განიხილოს საკითხი იმ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთა მიზეზით სარწყავი სისტემების მომზადება უხარისხოდ ჩატარდა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად შექმნას ნიადაგის ტენიანობის განმსაზღვრელი ლაბორატორიები გორის, მცხეთის, ალაზნის, გარდაბნის, ქვემო სამგორის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოების მომსახურების ზონებში;

გაუწიოს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სახელმწიფო მეურნეობებს ქმედითი დახმარება სარწყავი წყლის ეფექტიან გამოყენებაში. სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა:

განახორციელოს სამეურნეობათაშორისო სამელიორაციო გაერთიანებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დამტკიცების დამატებითი ღონისძიებანი იმ ვარაუდით, რომ 1978 წლიდან გარდაბნის, საგარეჯოს, გურჯაანის, მცხეთის, კასპისა და ადიგენის სამელიორაციო გაერთიანებებმა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უზრუნველყონ შიდასამეურნეო სარწყავი არხების გაწმენდა-შეკეთება, აგრეთვე სარწყავი მიწების მომზადება რწყვის სეზონისათვის და მისი ჩატარება;

შეიმუშაოს და განახორციელოს სამეურნეობათაშორისო სამელიორაციო გაერთიანებების მუშაკთა შრომის ანაზღაურებისა და წახალისების უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთამეურნეობის სამინისტროებს დაევალათ გააგზავნონ მოკავშირე რესპუბლიკებში წყალსამეურნეო სამსახურების მუშაკები სამელიორაციო სისტემების ექსპლოატაციის მოწინავე გამოცდილების შესწავლისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

მელიორაციისა და წყალთამეურნეობის სამინისტრო და გაერთიანება „საქსაქმელიორაცია" სამი თვის ვადაში ვალდებული არიან შეიმუშაონ და 1977-1978 წლებში განახორციელონ სარწყავი სისტემების მეთაურ ნაგებობათა სრული მოწესრიგების ღონისძიებანი და დაამონტაჟონ წყალსაზომი დანადგარები.

გაერთიანება „საქსაქმელიორაციამ" და საქართველოს წყალთა მეურნეობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტმა მიმდინარე წელს უნდა შეადგინონ თელავის რაიონში სარწყავ სისტემათა რეკონსტრუქციის ტექნიკური დოკუმენტაცია, ამასთან გაითვალისწინონ ამ სამუშაოთა შესრულება 1978 წელს.

გაერთიანება „საქსოფლტექნიკას" დაევალა წყალსამეურნეო ორგანიზაციები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უზრუნველყოს სარწყავი ტექნიკისა და მექანიზმების სათადარიგო ნაწილებით, გაუწიოს მათ ქმედითი დახმარება ტექნიკის კაპიტალურ შეკეთებაში, განახორციელოს ღონისძიებანი სარწყავი ტექნიკის შეკეთებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად. (საქინფორმი).

## ჩვენს საგამოფენო დარბაზებში

# აი ისტორია

### დიდ ოქტომბერს ეძღვნება


ეროვნული ბიბლიოთეკა

შავი ნაბადი და წითელვარსკვლავიანი ბუდიონოვკა,
გვერდებშეჭყლეტილი ალუმინის ჯამი,
მეწამული აბრეშუმი ესპანური წარწერით,
პირადობის მოწმობა,
ფორმის კიტელი,
ბომბის ნატეხი...

რა აკავშირებთ ერთმანეთთან ამ საგნებს?

შავი ნაბადი თურქესტანის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრისათვის — ტ. კობოზევისათვის უძღვნია 24-ე მსროლელი დივიზიის მეთაურს გ. გაის 1919 წლის იანვარში.

ბუდიონოვკა წითელარმიელ ხუდიაკოვს ეხურა სამოქალაქო ომის წლებში.

გვერდებშეჭყლეტილი თითბრის ტაშტი და პრიმუსი პირველ ყამირელებს ემსახურებოდა.




**სურათებზე:** ზემოთ მარჯვნივ — სტენდი, მიძღვნილი სკკპ XXV ყრილობისადმი. სკკპ გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ყრილობის ტრიბუნაზე; ზემოთ — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი პლაკატი; ქვემოთ ს. კიროვი, ს. ორჯონიკიძე, მ. ეფრემოვი, მ. ლევანდოვსკი, ა. მიქოიანი მე-11 არმიის მეთაურებთან 1920 წლის მაისში.

მეწამული აბრეშუმი ესპანეთის ბრძოლების ქარცეცხლში დროშაა, საიერიშოდ რომ მიუძღოდა ჩაპაევის სახელობის ბატალიონის მეორე ინტერნაციონალურ ბრიგადას.

პირადობის მოწმობა გამოჩენილ საბჭოთა ფიზიკოსს, ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის დამაარსებელს, აკადემიკოს ი. კურჩატოვს ეკუთვნის. ფორმის კიტელი — გმირ კოსმონავტს პ. ბელიაევს.

ბომბის ნამსხვრევი ვიეტნამის მიწის ჰურვებით გადათხრილი მკერდიდანაა...

ყველაფერი ეს კი იმ გამოფენის ექსპონატებია, **ახლახან რომ გაიხსნა საქართველოს მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის ხიდის ქვეშ.** გამოფენა სსრ კავშირის რევოლუციის ცენტრალურმა მუზეუმმა მოაწყო სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროებთან და რესპუბლიკის სურათების გალერეასთან ერთად.

**„დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წელი"** — ასე ეწოდება ექსპოზიციას, და ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე რესპუბლიკიდან გამოგზავნილი ცხრაასამდე დოკუმენტი, წიგნი, პლაკატი, ფოტოსურათი თუ მაკეტი მართლაც შთამბეჭდავად ასახავს იმ სახელოვან გზას, რომელიც მსოფლიოში პირველმა სოციალისტურმა სახელმწიფომ გაიარა.

გამოფენა შვიდი განყოფილებისაგან შედგება და ყოველი განყოფილება — ეპოქაა, ისტორიაა, ასე კარგად ნაცნობი და მაინც თითქოს მოულოდნელი აღმოჩენებით სავსე.

რევოლუციის მხურვალე დღეებით სუნთქავს დეკრეტები და მანიფესტები, უნიკალური ფოტოსურათები:

აი კრემლის ჰაშკარი რევოლუციის გამარჯვების პირველ დღეებში.

ოქტომბრის რევოლუციისადმი მიძღვნილი მიტინგი თურქესტანში;

წითელგვარდიელთა პოლკი ფრონტზე წასვლის წინ რევოლუციის ერთგულების ფიცს დებს წითელ მოედანზე. გულუბრყვილო მანერით შესრულებული, მაგრამ სწორედ ამ გულუბრყვილობით საოცრად შთამბეჭდავი პლაკატი — „შვიდი ნოემბერი — პირველი მზიანი დღეა პროლეტარიატის ცხოვრებაში". მის გვერდით ცეცხლოვანი პლაკატი — მოწოდება:

„საბჭოთა რუსეთი — ალყაშემორტყმული ბანაკია!
ყველანი მის დასაცავად!"

სამოქალაქო ომის წლებში წითელი არმიის რიგებში სამასი ათასი კომუნისტი და სამოცდაათი ათასი კომკავშირელი იბრძოდა. უდიდესი მსხვერპლი გაიღეს მუშებმა და გლეხებმა საბჭოთა რესპუბლიკის დასაცავად: 8 მილიონი კაცის სიცოცხლე შეიწირა ტყვიამ, ხიშტმა, შიმშილმა და ეპიდემიამ.

ფოტოსურათებზე ერთმანეთის მხარდამხარ დგანან მომავალში ლეგენდარული გმირები, სახელგანთქმული სახელმწიფო მოღვაწენი და რევოლუციის უსახელო ჯარისკაცები. ფიქრიანი თვალები ჯიქურ იყურებიან ობიექტივში. თვითდაჯერებული გამოხედვა. რწმენაჩამდგარი თვალები. ასეთი სახეები აქვთ ადამიანებს, ვისაც მტკიცედ სჯერა, რომ ამქვეყნად დიდი, განსაკუთრებული მისიით არიან მოსულნი...

ვერასოდეს დაამარცხებენ იმ ხალხს, რომელშიც მუშათა და გლეხთა უმრავლესობამ გაიგო, იგრძნო და ნახა, რომ ისინი თავიანთ, საბჭოთა ხელისუფლებას — მშრომელთა ხელისუფლებას იცავენ, — თქვა რევოლუციის დიდმა ბელადმა. მისი ბრძნული გამონათქვამები, მისი ფოტოსურათები, მისი ხელით ჩასწორებული ისტორიული დოკუმენტები მრავლად არის წარმოდგენილი გამოფენაზე. ის ყველგან არის — ხილული თუ უხილავი. მის ყოფნას გრძნობ იმ ფოტოსურათებში, რუსი გლეხების ქოხებში რომ გადაუღიათ: ხანშიშესული ცოლ-ქმარი ბედნიერი ღიმილით შესცქერის ელნათურას, ილიჩის ნათურას, როგორც მას ალერსიანად უწოდეს; რუსი გლეხკაცი, პატრიარქის წვერით, სამოვარს უზის და თავის სიცოცხლეში პირველად უსმენს რადიოს.

საგამოფენო სტენდზეა 1918 წლის კონსტიტუცია. ლენინის „დიადი თაოსნობა". „როსტის" აგიტპლაკატი — „სრულიად რუსეთის შაბათობა":

„პირველ მაისს მილიონი ური, როგორც ერთი, ერთსა და იმავე საათში აღიმართება და ერთსა და იმავე საათში დაეშვება, ერთი ამოცანისთვის"...

აი ლეგენდარული „გოელროს" პროექტები. დეკრეტი მიწის შესახებ (მიღებულია მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ყრილობაზე 26 ოქტომბერს, ღამის ორ საათზე). პლაკატი — „რა ჰქონდათ გლეხებს წინათ და რა მისცა მათ საბჭოთა ხელისუფლებამ".

როგორ შეეჩვია ბავშვობიდან ყური ამ სიტყვებს — საერთო, სახალხო საკუთრება. მაგრამ რა მაგიური, რა თავბრუდამხვევი ძალა ჰქონდა ამ სიტყვებს მაშინ! როგორ ჟღერდა ეს საოცარი — „სოციალისტური საკუთრება!" წმიდათაწმიდა, ხელშეუვალი სოციალისტური საკუთრება!

აი ქარხანა „წითელი სამკუთხედის" მუშები საზეიმო ვითარებაში გადასცემენ ტრაქტორს ფსკოვის გუბერნიის გლეხებს. აი მასიურად გამზადებული გუთნები სოფლის ღარიბთა კომიტეტებისათვის.

ქვეყანას ეკონომიურად უჭირდა, არ ჰყავდა კვალიფიციური კადრები და ასეთ პირობებში საბჭოთა სახელმწიფო ქმნიდა სახალხო განათლების ახალ სისტემას, რომელსაც უნდა უზრუნველეყო საყოველთაო განათლება, მეცნიერებისა და კულტურის სწრაფი აღმავლობა, მომავალი ახალი თაობის ახალი მსოფლმხედველობით აღზრდა. „სინათლისა და ცოდნისაკენ — ნორჩო პროლეტარებო"! — მოუწოდებს ეს პლაკატი. პროლეტარებისათვის გამოიცა ეს პირველი ანბანები.

ფოტოსურათებზეა კინო სოფლად. სამკითხველო დარბაზი. აქვეა აფიშა: 1921 წ. 22 მარტს აზერბაიჯანის დიდ სახელმწიფო თეატრში ეროვნულ ენაზე წარმოდგენილი იქნება დელიბის „ლაკმე". განა ეს არ იყო სენსაცია?

ფრთას შლიდა, ძალას იკრებდა პირველი სოციალისტური სახელმწიფო და თავის აურაცხელ შინაპოლიტიკურ საზრუნავთან არასოდეს ივიწყებდა თავის მოვალეობას მსოფლიო პროლეტარიატის წინაშე. კომინტერნის კონგრესები — 1919-1920 წლებში. ლენინი ესაუბრება იტალიის დელეგატებს II კონგრესზე...

გადაიქუხეს ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციის ხუთწლედებმა. საბჭოური მარკის დაზგები, ტრაქტორები, კომბაინები, ავტომანქანები და სხვა ათასი სიკეთე, სოციალისტურ საწარმოთა მიერ გამოშვებული, ექსპონირებული იყო სახალხო მეურნეობის მიღწევათა პირველ გამოფენაზე 1936 წელს. იმ გამოფენაზე მრავლად წარადგინეს მოკავშირე რესპუბლიკებმა თავიანთი თავისთავადი ხელოვნების ნიმუშებიც, სახალხო ოსტატთა ნამუშევრები. მათ შორის იყო ეს ნაქარგი აბრეშუმის სუფრაც, ქართველი ქალის — ნინო თავაძის ნახელავი...

ოქროსფერი ზოდაბუნები, მთად დამდგარი ხორბალი. გამშვენიერებული ქალაქები და სოფლები. სახეგაბრწყინებული ადამიანები და აქედან სულ ერთ ნაბიჯზე — პირქუში სტენდი: დიდი სამამულო ომი, დიდი ძნელბედობის წლები. გაყვითლებული ფურცლები, სტენდებზე რომ ეხედავთ, იმ წლების მგზნებარე მოწოდებებია, პარტიზანების, იატაკქვეშელების მიერ გამოცემული. სისხლი სისხლისა წილ, ცრემლი — ცრემლისა წილ... კიდევ ოცი მილიონი სიცოცხლე შეეწირა სოციალისტური სამშობლოს დაცვას.

გრანდიოზული აღდგენითი სამუშაოები, ჩვენი ადამიანების საოცარი, გმირული თავდადება ნანგრევებად ქცეული ქალაქებისა და სოფლების, მაღაროებისა და რკინიგზის, ქარხნებისა და სკოლების აღსადგენად, ომისაგან მიყენებული იარების მოსაშუშებლად...

მართლაც მკვდრეთით აღდგა, ფერფლიდან და ნანგრევებიდან წამოიმართა საბჭოეთი და სულ მოკლე ხანში მსოფლიოს ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა.

გამოფენაზე ცალკე განყოფილება აქვს დათმობილი ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის კოლოსალურ წარმატებებს. ექსპონატთა შორის არის იმ ვიმპელის დუბლიც, საბჭოთა კოსმოსურმა რაკეტამ მთვარეზე რომ აიტანა.

გამოფენაზე დიდი ყურადღება აქვს დათმობილი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში მომხდარ უმნიშვნელოვანეს მოვლენას — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობას, სკკპ გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ისტორიულ გამოსვლას და შემდეგ — ჩვენი ხალხის ბრძოლას ყრილობის დიად მიზანდასახულობათა განსახორციელებლად. უშუალო, შთამბეჭდავია ქვეყნის ყველა კუთხიდან ყრილობისადმი გამოგზავნილი შრომითი კოლექტივების პატაკები, დეპეშები.

საერთაშორისო განყოფილების ექსპონატები გვიამბობს საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკაზე, იმპერიალიზმის კოლონიალური სისტემის კრახზე, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ურღვევ თანამეგობრობაზე.

... აი ასეა წარმოდგენილი ერთ საგამოფენო დარბაზში ქვეყნის ექვსი ათეული წლის ისტორია, მისი დაბადების, მისი ხალხის ბრძოლისა და შრომის სახელოვანი გზა. ამ გამოფენაზე ბევრ საინტერესოს აღმოაჩენს დამთვალიერებელი. ბევრი საგამოფენო ექსპონატი სამუდამოდ შემორჩება ხსოვნას, რადგან ის რელიქვიაა, ისტორიული რელიქვია.

**ნანული ბარათაშვილი.**



# ორგანიზებულად ავიღოთ საადრეო კარტოფილის მოსავალი

### ზონალური თათბირი მარნეულში

**მარნეული, 24 მაისი. (საქინფორმის კორ.).** აქ გაიმართა ზონალური თათბირი, რომელზეც განიხილეს საადრეო კარტოფილის მოსავლის დროულად აღების საკითხები.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. პატიაშვილი. კამათში მონაწილეობდნენ პარტიის ბოლნისის რაიკომის პირველი მდივანი ო. ღლონტი, პარტიის მარნეულის რაიკომის მეორე მდივანი მ. კალაევი, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე კ. შავიშვილი, პარტიის გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი გ. ლოლაძე, მარნეულის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ო. მანაგაძე და სხვები.

გადაწყვეტილია საადრეო კარტოფილის აღება დაიწყონ 28 მაისს, 4 ივნისისათვის კი პირველი ასობით ტონა კარტოფილი გააგზავნონ მოსკოვსა და ლენინგრადში. „საქსოფლტექნიკის" და ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობას დაევალათ მეკარტოფილეები უზრუნველყონ საჭირო რაოდენობის სატვირთო მანქანებითა და რკინიგზის ვაგონებით კარტოფილის უწყვეტი გადაზიდვისათვის. წელს საადრეო კარტოფილის უხვი მოსავალია მოსალოდნელი. მარტო მარნეულის რაიონში 25 ათასი ტონა კარტოფილის დამზადებას აპირებენ გეგმით გათვალისწინებული 14 ათასი ტონის ნაცვლად. აქედან 15 ათას ტონას მიიღებენ თბილისის, რუსთავისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების მცხოვრებნი.

# დაჯილდოება

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 23 მაისის ბრძანებულებით საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. ჯიმშერ ვასილის ძე ქაჯაია,** საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

## ახალი წიგნები

# საყურადღებო ნაშრომი

სკკპ უკანასკნელმა ყრილობებმა, განსაკუთრებით კი XXV ყრილობამ, ერთობ დიდი ყურადღება დაუთმო ახალი ადამიანის ჩამოყალიბების პრობლემას. ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის — კომუნიზმის ადამიანის — ჩამოყალიბება ახლა მთელი ჩვენი პარტიისა და მთავრობის ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავია. ამ საქმის წარმატებით გადაჭრა მოითხოვს ადამიანის პრობლემის მთელი სიგრძესიგანით შესწავლას, მისი თეორიული კვლევის გაშლა-გაფართოებას.

ცხადია, მეცნიერულ ცოდნაზე დაფუძნებული აღზრდა-ჩამოყალიბება ამ დიდ საქმეს სწორი მიმართულებით წარმართავს და შედეგსაც სასურველს მოგვცემს. სწორედ ამ პრობლემას — ახალი ადამიანის ჩამოყალიბების თეორიული საკითხების დამუშავებას მიუძღვნა ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა **რევაზ ბალანჩივაძემ** თავისი ფრიად საყურადღებო და უაღრესად აქტუალური მეცნიერული გამოკვლევა — **„ადამიანი, თავისუფლება, პასუხისმგებლობა".** წიგნი გამომცემლობა „მეცნიერებამ" გამოსცა.

მკვლევარი, ვიდრე მთავარ საკითხზე გადავიდოდეს, ნაშრომის დასაწყისში მეცნიერული დამაჯერებლობით ასაბუთებს, რომ ადამიანის არსის, მისი რაობის კვლევა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საგანი უნდა იყოს, რადგან ადამიანის შემსწავლელი სხვა სპეციალური მეცნიერებები სწავლობენ მხოლოდ ადამიანის ბუნების ბიოლოგიურ, ფსიქიკურ, ფიზიოლოგიურ, ნეიროლოგიურ და სხვა მხარეებს და არც ერთ მათგანს არ შეუძლია უპასუხოს კითხვას: რა არის ადამიანი? რა არის მისი ცხოვრების აზრი? როგორია მისი თავისუფლება და პასუხისმგებლობა? რა ადგილი უჭირავს მას სამყაროში? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მხოლოდ იმ მეცნიერებას შეუძლია, რომელიც ადამიანს უყურებს როგორც ერთ მთლიანს და არა ნაწილთა ჯამს.

ადამიანის მარქსისტულ გაგებას, მისი თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის საკითხების გარკვევას მკვლევარი იძლევა ადამიანის ნატურალისტური და ანტინატურალისტური გაგების კრიტიკის ფონზე.

წიგნში ბურჟუაზიულ ფილოსოფოსთა შეხედულებების კრიტიკის ფონზე ნათლად არის ნაჩვენები მარქსისტული შეხედულება იმის შესახებ, რომ ნამდვილი თავისუფლება არ არის უმიზნო თავისუფლება, რომ ასეთი თავისუფლება თვითმიზანი კი არ არის, არამედ საშუალებაა კიდევ უფრო დიდი მიზნებისა და იდეალების მიღწევისათვის, რომ ნამდვილად თავისუფალ ადამიანს „არა აქვს მარტო თავისი საკუთარი გრძნობებისა და ემოციებზე, მოთხოვნილებებსა და ინტერესებზე ყურის გდების უფლება. მას, როგორც ადამიანს, ევალება მხედველობაში მიიღოს და ანგარიში გაუწიოს საზოგადოების მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს... აქ ამაღლის ღირებულებად თვითონ ინდივიდი კი არ ცხადდება, არამედ მთელი საზოგადოება, კაცობრიობა, რომლის ინტერესებსა და საჭიროებებს უნდა შეუთანხმონ თავისი ინტერესები ცალკეულმა ინდივიდებმა, თუ სურთ კონფლიქტი არ ჰქონდეთ მასთან და თავი თავისუფლად და ბედნიერად იგრძნონ" (გვ. 99)

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ავტორის ღრმად გააზრებულ მტკიცებას, რომ ნამდვილმა ადამიანმა თავისი ვიტალურ-ბიოლოგიური მოთხოვნილებების მიხედვით კი არ უნდა იმოქმედოს, არამედ საზოგადოებრივი ინტერესებითა და მოთხოვნილებებით.

ნაშრომის ძირითადი, მესამე თავი მიძღვნილია ახალი ადამიანის ჩამოყალიბების აქტუალური პრობლემებისადმი. აქ ავტორი, უპირველეს ყოვლისა, ხაზს უსვამს იმ დებულებას, რომ ახალი ადამიანის აღზრდის პრაქტიკულმა საქმეებმა მოითხოვა ამ პრობლემის თეორიული დამუშავების საჭიროება.

წიგნში მეცნიერული სიზუსტითაა გამართული საბჭოთა ადამიანის ჭეშმარიტად დამამშვენებელ მორალურ თვისებაზე — პასუხისმგებლობის გრძნობაზე, ხაზგასმულია ამ გრძნობის მთავარი როლი ჩვენი დიდი სამშობლოს შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებაში.

ეხება რა იმ ღონისძიებებს, რასაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ატარებს რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გასაჯანსაღებლად, ავტორი სწორად ხსნის, რომ ყოველივე ეს არის ხორცშესხმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მითითებისა, შეუნელებელი ბრძოლა ვაწარმოოთ მორალური ნორმებიდან ყოველგვარი გადახვევის წინააღმდეგ, რადგან „რაც უფრო მეტად ვითარდება ჩვენი საზოგადოება, მით უფრო შეუწყნარებელი ხდება სოციალისტური ზნეობის ნორმებიდან გადახვევა, რასაც ჯერ კიდევ ვაწყდებით" (ლ. ბრეჟნევი, საანგარიშო მოხსენება სკკპ XXV ყრილობას, გვ. 108).

მცირეოდენი ხარვეზები ვერ ჩრდილავს დოც. რ. ბალანჩივაძის წიგნის ღირსებებს. იგი ფრიად საყურადღებო მეცნიერული გამოკვლევაა ახალი ადამიანის ჩამოყალიბების პრობლემებზე.

**ა. ირემაძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის უნივერსიტეტის მეცნიერული კომუნიზმის კათედრის პროფესორი.**

**რევაზ ბალანჩივაძე „ადამიანი, თავისუფლება, პასუხისმგებლობა". გამომც. „მეცნიერება".**

## 24 მაისი ● „პრავდის" ფურცლებზე

# ხალხის სულიერი ძალა

სპეციალურ ნომრებში „გზა, რომელიც საუკუნეებს უდრის", რომლებიც თებერვალსა და აპრილში გამოვიდა, „პრავდამ" გააშუქა საბჭოთა ეკონომიკის მიღწევები, მომწიფებული სოციალისტური ურთიერთობა ჩვენს საზოგადოებაში. გუშინდელი ნომრის მასალები საბჭოთა ხალხის სულიერ კულტურას ეძღვნება.

განვითარებული სოციალიზმის სულიერი მონაპოვრები, წერს გაზეთი მოწინავეში, ისევე როგორც მისი წარმატებანი ეკონომიკაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, დამაჯერებლად ავლენენ ახალი საზოგადოებრივი წყობილების ძირეულ უპირატესობას კაპიტალიზმთან შედარებით, მოწმობენ, რომ მომავალი ამ ახალ საზოგადოებას ეკუთვნის.

რუბრიკით — „ჩვენი ანკეტა" გამოქვეყნებულ ინტერვიუში კოლმეურნეობა „ილიჩის ანდერძის" მევენახეთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი მიხეილ მექვაბიშვილი ამბობს:

— ჩემთვის მაღალი სულიერი კულტურის სიმბოლო გახდა ჩვენს რაიონულ ცენტრში — გურჯაანში დიდების მემორიალის მშენებლობა. მონუმენტი ადიდებს მშრომელთა, ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლთა საგმირო საქმეებს. მას დაგვავიწყებს ფილმ „ჯარისკაცის მამის" ცნობილი გმირის მახარაშვილის ქანდაკება, რომელმაც ფრონტზე დაკარგა შვილი გოდერძი. ისინი ჩვენი თანამემამულენი იყვნენ, ისინი განასახიერებდნენ მთელი საბჭოთა ხალხის შესანიშნავ თვისებებს — სოციალისტური სამშობლოს უსაზღვრო ერთგულებას და დიდ მორალურ სულისკვეთებას.

ნომერში გამოქვეყნებული მასალები, წერს გაზეთი, ცხადია, ვერ ამოწურავს ჩვენი მომწიფებული სოციალისტური საზოგადოების სულიერი სიმდიდრის თემას. მაგრამ ყოველივე, რაც ითქვა, თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ დიდმა ოქტომბერმა განუზომლად გამდიდრა ხალხის სულიერი ცხოვრება. მშრომელთა განკარგულებაში გადასცა კულტურისა და ხელოვნების ყველა საგანძური, მძლავრი ბიძგი მისცა განათლებისა და მეცნიერების აღმავლობას, რომლის მიღწევები ახლა საერთო კეთილდღეობას ემსახურება.

ხალხის ბედნიერებისათვის ლენინური პარტიის ზრუნვით შთაგონებული საბჭოთა ადამიანები გულმოდგინედ ახორციელებენ სკკპ XXV ყრილობაზე შემუშავებულ სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამას, ახალ წარმატებებს აღწევენ კომუნისტურ მშენებლობაში.



## თემქის დასახლებაში



ამას წინათ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის დაბის ტერიტორიაზე გაიხსნა სამრეწველო საქონლის ახალი უნივერსალური მაღაზია, რომელიც სავაჭრო ცენტრის კომპლექსში შედის. კომპლექსს აქვს თვითმომსახურების სასურსათო უნივერმაღი, კაფე-სასადილო, მალე მწყობრში ჩადგება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, ფოსტა-ტელეგრაფი.

ახალი ორსართულიანი უნივერმაღის ნათელ, ვრცელ დარბაზებში, რომლებსაც ორი ათას კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობი უჭირავს, სამამულო და საზღვარგარეთული წარმოების სამრეწველო საქონლის დიდი არჩევანია. ექვსი სექცია უკავია კულტსაქონელს, ქსოვილებს, ფეხსაცმელს, ტანსაცმელს, გალანტერიას, სამეურნეო საქონელს. სექციებში მუშაობენ მაღალი კვალიფიკაციის გამყიდველ-კონსულტანტები.

სურათზე: თემქის დასახლების ახალი უნივერსალური მაღაზია.

ზ. კიკვაძის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

### მე-10 საკავშირო კინოფესტივალი

## კინოხელოვანთა კონფერენცია

**რიგა, 23 მაისი.** (საქტესის კორესპონდენტები ე. ხორევა, ა. ბაკალოვი). მეათე სრულიად საკავშირო კინოფესტივალის ერთ-ერთი ცენტრალური მოვლენა გახდა კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კონფერენცია, რომელიც დღეს გაიმართა რიგის პრესის სახლში. კონფერენციის თემა, რომელშიც მონაწილეობდნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკრანის ოსტატები, აგრეთვე სტუმრები სოციალისტური ქვეყნებიდან, იყო — სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“ და საბჭოთა კინემატოგრაფისტების ამოცანები. ინფორმაციებით გამოვიდნენ ლატვიის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი მ. ზვირბულისი, კრიტიკოსი ს. დრომაშენკო (მოსკოვი), რეჟისორები ფ. დოვლათიანი (სომხეთი), ი. სტრეიჩი (ლატვია), სცენარისტი ე. ზაგდანსკი (უკრაინა) და სხვები.

კონფერენციის მონაწილენი აღნიშნავდნენ, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს კინოხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებას რიგის სრულიად საკავშირო კინოფესტივალის მონაწილეებისა და სტუმრებისადმი. შეფასება, რომელიც მისალმებაში საბჭოთა კინემატოგრაფისტების შემოქმედებას ეძლევა, კიდევ უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს მათ, თქვა დასასრულ ს. დრომაშენკომ. საბჭოთა კინემატოგრაფისტები, პარტიის ერთგული თანაშემწეები, მზად არიან მთელი ძალ-ღონე და ტალანტი მოახმარონ სკკპ XXV ყრილობის მიერ დასმული ამოცანების შესრულებას.

### ამინდი

გუშინ 13 საათზე ყველგან მშრალი ამინდი იდგა. დასავლეთ საქართველოში ყველაზე მეტი სითბო — 25 გრადუსი სამტრედიასა და ლანჩხუთში აღინიშნა. დანარჩენ დაბლობ რაიონებში 20-24, მთებში 20-22 გრადუსი იყო.

აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 24-27, მთებში 21-22 გრადუსი აღინიშნა.

გუშინ 13 საათზე თბილისში თერმომეტრი 28 გრადუსს უჩვენებდა.

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, სანაპირო რაიონებში ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, სუსტი ქარი, დაბლობ რაიონებში 20-25, მთებში 15-20 გრადუსი იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, მტკვრის ხეობაში წამში 10-15 მეტრი სიძლიერის დასავლეთის ქარი იქროლებს, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 21-26, მთებში 14-19 გრადუსი.

თბილისში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, იქროლებს ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა 24-26 გრადუსი.

### ჭადრაკი

## ვის შეხვდება მაია?

**ბულგარეთის** პრესა დიდ ყურადღებას უთმობს მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტების — დიდოსტატების ტატიანა ლემაჩკოსა (ბულგარეთი) და ელენე ახმილოვსკაიას (საბჭოთა კავშირი) მატჩს, რომელიც სოფიაში მიმდინარეობს. გაზეთი „ნაროდენ სპორტი“ აქვეყნებს ამ მატჩის ყველა პარტიას დაწვრილებითი კომენტარით.

ახლა, როდესაც მატჩზე გადამწყვეტი დღეები დადგა, მიმომხილველები ხაზს უსვამენ საბჭოთა მოჭადრაკის გარკვეულ უპირატესობას. ლემაჩკო ბევრს ცდილობს, მაგრამ ვერა და ვერ აინაზღაურა ის ერთი ქულა, სტარტზე რომ დაკარგა. მას შემდეგ, რაც მეექვსე პარტია ყაიმით დასრულდა, ანგარიში გახდა 3,5:2,5 ახმილოვსკაიას სასარგებლოდ. ამის შემდეგ ლემაჩკომ კიდევ ერთი „ტაიმ-აუტი“ აიღო (მას უკვე აღარ დარჩა პარტიის გამოტოვების უფლება) და მეშვიდე პარტია გადაიტანა.

სოფიაში გამარჯვებული, როგორც ცნობილია, ივლისში მაია ჩიბურდანიძეს ხვდება პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში.

## კასაბლანკას მემორიალი

**კასაბლანკას** მემორიალის 16 მონაწილეს შორის არიან დიდოსტატები რომანიშინი, ანტოშინი (საბჭოთა კავშირი), გ. გარსია (კუბა), ანდერსონი (შვეცია), ფარაგო (უნგრეთი), ივკოვი (იუგოსლავია). ამის მიუხედავად, ვერც ერთმა მათგანმა ვერ მიაღწია წარმატებას.

4 ტურის შემდეგ 3,5 ქულით შეჯიბრებას ლიდერობენ საბჭოთა ოსტატი იოსებ დორფმანი, რომელსაც ამ ბოლო წლებში დიდი წარმატებები აქვს და ბულგარეთის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ევგენი ერმენკოვი.

## ფინიშის წინ

**დასასრულს** უახლოვდება საქართველოს პირველობა ჭადრაკში ვაჟთა შორის, რომელიც ქუთაისში მიმდინარეობს. სათამაშო დარჩა 5 ტური. 12 ტურის შემდეგ საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლამ მეტად დაძაბული ხასიათი მიიღო. ტურნირის ლიდერებს ზ. სტურუასა და ს. ლპუტიანს (ორივე — თბილისი) 9,5-9,5 ქულა და თითო დაუმთავრებელი პარტია აქვთ. 8-8 ქულა მოაგროვეს მ. არჩვაძემ (სამტრედია), ვ. ვეფხვიშვილმა და კ. ჩიგოვიძემ, თ. ხანთაძეს 7,5 ქულა აქვს, დ. გედევანიშვილს — 6,5 ქულა (ყველა — თბილისი).

მე-13 ტურში დიდ ინტერესს იწვევს ტურნირის ლიდერების ზ. სტურუასა და ს. ლპუტიანის შეხვედრა. ალბათ ეს პარტია გადაწყვეტს საქართველოს 1977 წლის ჩემპიონობის ბედს.

**რ. თავარიანი,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

### ფეხბურთი

## მინიმალური ანგარიშით

**გუშინ** ქუთაისში გაიმართა პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ადგილობრივ „ტორპედოსა“ და სიმფეროპოლის „ტავრიას“ შორის.

ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს ქუთაისელებმა. ბურთი თამაშის მე-18 წუთზე გაიტანა ა. კვერნაძემ.

ტორპედოელები ასეთი შემადგენლობით გამოდიოდნენ: მ. კვერნაძე, ვოლკოვი (სვანაძე), სულაქველიძე, ფარულავა, მელიქია, ოქროპირაშვილი, ბურკაძე, ქვირია (ა. კვერნაძე), ფესტვენიძე, გაბიჩვაძე (შვეცოვი), შელია.

ქუთაისელებს ახლა 10 ქულა აქვთ 20 შესაძლებლიდან. მომდევნო მატჩს ისინი გამართავენ 29 მაისს გროზნოში ადგილობრივ „ტერეკთან“.

## — მოკლედ

**ფეხბურთი.** სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრებმა ბელგიაში უეფა-ს ტურნირის (ევროპის არაოფიციალური პირველობა) კიდევ ორი მატჩი გამართა. ანგარიშით 4:0 მოუგო ავსტრიის გუნდს, ხოლო 6:0 — მალტის ფეხბურთელებს. ამრიგად, ჩვენი ნაკრები 6 ქულით (ბურთების სხვაობა 11-0) მესამე ჯგუფში პირველ ადგილზე გამოვიდა და ახლა 26 მაისს ქალაქ შარლერუაში ნახევარფინალში შეხვდება ბელგიის გუნდს. მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ბულგარეთისა და გფრ-ის გუნდები. ფინალი 28 მაისს გაიმართება ბრიუსელში.

**მშვილდოსნობა.** მინსკში დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება „გაზაფხულის ისრები“, რომელშიც 12 ქვეყნის ოსტატები გამოდიოდნენ. ასპარეზობა დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით. ქალებში პირველი იყო მსოფლიოს ექსჩემპიონი, 22 წლის დუშანბელი ზებინისო რუსთამოვა — 2459 ქულა, ვაჟებში — 37 წლის ჩიტელი მელს დაბაევი — 2453 ქულა.

**ბათუმის** მახლობლად ანგისაში დამთავრდა საქართველოს მეორე ახალგაზრდული სპორტული თამაშების პროგრამაში შემავალი პირად-გუნდური პირველობა მშვილდოსნობაში. გაიმარჯვეს თბილისელებმა. პირად ჩათვლაში გოგონებს შორის უძლიერესი იყო სპორტის ოსტატი ა. ზამისლოვა, ჭაბუკებში — ოსტატობის კანდიდატი ვ. ლიკვეიშვილი (ორივე — თბილისი).

**ძიდაობა.** 152 ფალავანი მონაწილეობდა საქართველოს პირად პირველობაში თავისუფალ ჭიდაობაში. 8 წონით კატეგორიაში გაიმარჯვეს თბილისელებმა — შ. კოტორაშვილმა, ვ. თარგამაძემ, ა. კაპანაძემ, ვ. სარდანაშვილმა, პ. თოიძემ, ა. ილურიძემ, ზ. ნიკურაძემ და ა. ქეილითაიამ, ხოლო დანარჩენ ორში — სოხუმელმა ვ. მარშანიამ და ბათუმელმა თ. ხაბაძემ.

**ბათუმში** სამ დღეს გრძელდებოდა საქართველოს მეორე ახალგაზრდული თამაშების პროგრამაში შემავალი პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებული გახდნენ: მ. ბითაძე (თბილისი), გ. პაპუკაშვილი (გორი), ჯ. სურმანიძე (აჭარა), ზ. დიმელაშვილი, გ. შინჯიკაშვილი, შ. ხაბარელი (ყველა — თბილისი), ე. ბაღაკაშვილი (გორი), გ. შერაზაშვილი (თბილისი). გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვეს თბილისელმა მოჭიდავეებმა, მეორე ადგილზეა აჭარის, მესამეზე — გორის გუნდი.

რედაქტორი
**დ. მჭედლიშვილი.**

### ტელევიზია

**25 მაისი**

**პირველი პროგრამით**

10.30— მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ფერდინანდი და გარეული ცხოველები“, 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — მათემატიკა, 17.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჰარი პოიერის ცისმარე დღე“, 18.00 — „შევისწავლოთ გერმანული ენა“, 18.30 — განცხადებები, 18.35 — „შეიცან თავი შენი“ — ადამიანი და მანქანა, 19.05 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.35 — „მეცხრე სტუდია“ (ფერადი. მოსკოვიდან), 20.35 — ფრანგული სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „კურტიზანი ქალების ბრწყინვალება და სიღატაკე“. III სერია. პრემიერა (ფერადი. მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — საესტრადო კონცერტი.

**მეორე პროგრამით**

18.00 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია, 18.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩემპიონი“ (ფერადი), 19.55 — დოკუმენტური ფილმი „საუკუნის მხარდამხარ“ (ფერადი), 20.40— მხატვრული ფილმი „ყველა სამხილი მის წინააღმდეგ“.

### თეატრი

**25 მაისი**

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ეზოში ავი ძაღლია; ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — მირანდოლინა.

### ჩვენი ცნობარი

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი აცხადებს

## მოსწავლეთა მიღებას 1977-1978 სასწავლო წლისათვის:

**სამშენებლო, ქვანახშირის, სამთო მრეწველობის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკის, ელექტრონიკის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, საზღვაო ფლოტის, კავშირგაბმულობის, რკინიგზის ტრანსპორტის, მსუბუქი, კვების, პოლიგრაფიის, მეტალურგიის, ქიმიური მრეწველობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების პროფესიების მიხედვით.**

**მშენებლობის, ქვანახშირისა და სამთო მრეწველობისათვის კვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებენ:**

**ქალაქის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები:**

№ 7 — ქ. ბორჯომი, ინტერნაციონალის ქ. № 6, ტელ. 22-97; მოსე თოიძის სახელობის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი № 11 ქ. თბილისი, ჭონქაძის ქ. № 21, ტელ. 99-99-61; № 17 — ქ. რუსთავი, კიროვის ქ. № 1, ტელ. 12-17-76; № 18 — ქ. თბილისი, ბუდაპეშტის ქ. № 1, ტელ. 37-12-33; № 21 — ქ. ქუთაისი, წულუკიძის ქ. № 189, ტელ. 6-29-38; № 22 — ქ. ტყვარჩელი, ლაკობას ქ. № 4, ტელ. 27-18; № 25 — ბოლნისის რაიონი, დაბა კაზრეთი; № 28 — ქ. სამტრედია, გეგეჭკორის ქ. № 26, ტელ. 38-09; № 44 — ქ. ბათუმი, ლუხუმის ქ. № 2, ტელ. 99-65-28; № 45 — ქ. სოხუმი, ძერჟინსკის ქ. № 19, ტელ. 2-33-63; № 54— ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. № 10, ტელ. 71-37-47; № 61 — ქ. რუსთავი, ლომოურის ქ. № 6, ტელ. 12-60-90, საბჭოთა კავშირის გმირის აკაკი ბუკიას სახელობის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი № 62, ქ. ზუგდიდი, კრილოვის ჩიხი № 3, ტელ. 32-37; კაპიტან ბუხაიძის სახელობის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი № 63 — ქ. თბილისი, ლილოს დასახლება, ტელ. 73-04-90; № 68 — დაბა ვანი, მშვიდობის ქ. № 7, ტელ. 3-78; № 69 — დაბა მაიაკოვსკი, რუსთაველის ქ. № 21, ტელ. 29-86; № 70 — ქ. მარნეული; № 89 — ქ. მცხეთა, საგურამოს ქ. № 4.

**ქალაქის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები:**

№ 19 — ქ. ტყიბული, ოქტომბრის ქ. № 42, ტელ. 26-93; № 20 — ქ. ჭიათურა, გაგარინის ქ. № 2, ტელ. 32-26; № 71 — ქ. თბილისი, მარელისის ქ. № 12, ტელ. 71-94-43.

**ტექნიკური სასწავლებლები:**

№ 26 — ქ. თბილისი, ავჭალის გზატკეცილი № 72-ბ, ტელ. 66-44-01; № 46 — გალის რაიონი, სოფელი საბერიო; № 58 — ქ. სოხუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. № 7, ტელ. 2-71-63; № 78 — ქ. ცხინვალი, გმირთა ქ. № 35, ტელ. 62-60; № 87 — დაბა თერჯოლა, სილიკატური აგურის ქარხნის ტერიტორია, № 105 — ქ. ბათუმი, ლერონიძის ქ. № 2, ტელ. 99-65-28; № 108 — ქ. თბილისი, გლდანის დასახლება, ქერჩის შესახვევი № 3, ტელ. 62-12-06.

ამ სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები მიიღებენ ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთვლილ პროფესიას:

ზეინკალ-სანტექნიკოსის, ელექტროაირშემდუღებლის, მღებავის, დურგლის, ხუროს, კონსტრუქციის მემონტაჟე-კალატოზის, მებათქაშე-მომპირკეთებლის, მეფილის, ქვაზე და ხეზე მჭრის, ელექტროშემდუღებელ-მეარმატურის, ელექტრომემონტაჟის, ამწის, ექსკავატორის მემანქანის, გვირაბგამყვანის, მბურღავის და სხვა პროფესიებს.

**მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და ელექტრონიკის პროფესიებში კვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებენ:**

**ქალაქის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები:**

ადმირალ ისაკოვის სახელობის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი № 1 — ქ. ბათუმი, მარქსის ქ. № 2, ტელ. 3-36-40; № 4 — ქ. ქუთაისი, ავტოქარხნის ტერიტორია, ტელ. 6-95-73; საბჭოთა კავშირის გმირის შოთა გამცემლიძის სახელობის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი № 5 — ქ. თბილისი, ართვინის ქ. № 53, ტელ. 95-23-72; შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საბჭოთა კავშირის მარშალ ტოლბუხინის სახელობის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი № 6 — ქ. თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. № 1, ტელ. 66-09-95; № 8 — ქ. წულუკიძე, ლენინის ქ. № 38, ტელ. 3-77; № 69 — დაბა მაიაკოვსკი, რუსთაველის ქ. № 21, ტელ. 29-86; № 95 — ქ. თბილისი, კომკავშირის II ქ. № 22, ტელ. 74-22-91;

**ქალაქის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი:**

№ 47 — ქ. გარდაბანი, ელსადგურის დასახლება, ტელ. 95-14-01 დამატ. 23-26.

**ტექნიკური სასწავლებლები:**

№ 26 — ქ. თბილისი, ავჭალის გზატკეცილი № 72-ბ, ტელ. 66-44-01; № 32 — ქ. თბილისი, ახალქალაქის ქ. № 2, ტელ. 99-42-32; № 33 — ქ. ქუთაისი, შევჩენკოს ქ. № 12, ტელ. 6-40-47; საბჭოთა კავშირის გმირის ჭიჭიკო ბენდელიანის სახელობის ტექნიკური სასწავლებელი № 38 — ქ. თბილისი, კომკავშირის II ქ. № 22, ტელ. 74-22-91; № 49 — ქ. თბილისი, გორგასალის ქ. № 115, ტელ. 72-11-83; საბჭოთა კავშირის გმირის გიორგი ბილანიშვილის სახელობის ტექნიკური სასწავლებელი № 51 — ქ. თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. № 5, ტელ. 66-18-29; № 60 — ქ. თბილისი, წერეთლის პრ. № 139, ტელ. 66-72-59; № 79 — ქ. თბილისი, დიღმის მასივი „გამწვანების მშენებლობის“ ტერიტორია, ტელ. 51-06-05; № 97 — ქ. თბილისი, ჯიქიას ქ. № 3, ტელ. კომუტატორი 31-25-21, დამატ. 84.

ამ სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები მიიღებენ ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთვლილ პროფესიას:

**ხარატის, მღარავის, საამწყობო-მექანიკური სამუშაოების ზეინკლის, შემკეთებელ-ზეინკლის, ელექტრომონტიორის, ელექტროშემდუღებლის, ზეინკალ-ელექტრომემონტაჟის, ზეინკალ-მეინსტრუმენტის, მტვიფრავის, მიკროსქემების ამწყობის, ელექტროფიზიკური პარამეტრების გამზომის და სხვა პროფესიებს.**

**სოფლის მეურნეობის მექანიზაციის პროფესიებში კვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებენ:**

**სოფლის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები:**

№ 2 — ყვარლის რაიონი, სოფელი ენისელი; № 9 — წულუკიძე, ლენინის ქ. № 55, ტელ. 4-04; № 10 — გარდაბანი, საბჭოს ქ. № 108, ტელ. 95-14-01 დამატ. 27-01; № 13 — გურჯაანის რაიონი, სოფელი ველისციხე, ტელ. 4-74; № 14 — დაბა სურამი, სარაჯიშვილის ქ. № 6, ტელ. 2-12; № 15 — გორის რაიონი, სოფელი ხიდისთავი, ტელ. 9-72-62; № 30 — ხობის რაიონი, სოფელი ნოჯიხევი, ტელ. 25-13; № 40 — დაბა ქარელი; № 83 — ლანჩხუთი, ცხაკაიას ქ. № 26; № 84 — ქ. აბაშა, რუსთაველის ქ. № 30, ტელ. 19-05; № 88 — ლაგოდეხი, სოფელი შრომა, ტელ. 22-07; № 89 — მცხეთა, საგურამოს ქ. № 4; № 91 — დაბა ცაგერი; № 101 — ქ. ახალციხე; № 102 — ქ. გალი; № 103 — ზუგდიდის რაიონი, სოფ. კახათი.

**სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები:**

№ 50 — გალის რაიონი, სოფელი ხუმუშკური; № 72 — წითელწყაროს რაიონი, სოფელი ჯაფარიძე, ტელ. 28-26; № 73 — დაბა თიანეთი, ტელ. 11-12; № 77 — ზუგდიდის რაიონი, სოფელი ინგირი; № 82 — ახალქალაქი, მახარაძის ქ. № 46, ტელ. 24-25; ახალქალაქის № 82 სასწავლებლის ბოგდანოვკის ფილიალი.

**სოფლის ტექნიკური სასწავლებლები:**

№ 85 — გარდაბნის რაიონი, სოფელი სართიჭალა, № 93 — დაბა ხოხატაური, სოფელი ერკეთი, № 96 — წულუკიძე, ლენინის ქ. № 55, ტელ. 4-04; № 98 — დაბა წალკა, ტელ. 26; № 106 — გორის რაიონი, სოფელი ხიდისთავი.

ამ სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები მიიღებენ ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთვლილ პროფესიას:

ფართო პროფილის და III კლასის ტრაქტორისტ-მემანქანის, მეცხოველეობის ფერმის მექანიზატორის, ექსკავატორის მემანქანის, ავტომობილების, ტრაქტორის და სოფლის მეურნეობის მანქანების შემკეთებელი ზეინკლების, ბულდოზერის, გრეიდერის მემანქანის, სოფლის ელექტროფიკაციისა და კავშირგაბმულობის ელექტრომონტიორისა და სხვა პროფესიებს.

**კვების, პოლიგრაფიის, მსუბუქი, ფეხსაცმლის მრეწველობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის კვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებენ:**

**ქალაქის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები:**

№ 23 — ქ. თბილისი, ტროცკოტავის ქ. № 3, ტელ. 66-19-55; № 24 — ქ. თბილისი, ა. წერეთლის პრ. № 134, ტელ. 66-09-75; ზოია რუხაძის სახელობის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი № 36 — ქ. თბილისი, ავჭალის გზატკეცილი № 108, ტელ. 62-41-39; თინა ოსეპაშვილის სახელობის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი № 39 — ქ. გორი, ბესიკის ქ. № 2, ტელ. 21-53; № 52 — ქ. თელავი, სააკაძის ქ. № 3, ტელ. 18-91; საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ ჩანჩიბაძის სახელობის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი № 53—მახარაძის რაიონი, სოფელი ლიხაური, ტელ. 6-48-61; № 64 — ქ. ხაშური, ბორჯომის ქ. № 4, ტელ. 27-35; საბჭოთა კავშირის გმირის ალექსანდრე წურწუმიას სახელობის საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი № 66 — ქ. ცხაკაია, ლეხის ქ. № 21, ტელ. 2-20-27; № 67 — ქ. ქუთაისი, წულუკიძის ქ. № 189, ტელ. 6-39-67; უშინსკის სახელობის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი № 75 — ქ. თბილისი, გლდანის დასახლება, ქერჩის შესახვევი № 3, ტელ. 62-12-06; საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ ლესელიძის სახელობის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი № 80 — ქ. თბილისი, გლდანის დასახლება, ტელ. 62-04-98, ქართულ-რუსული საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი № 107—ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. № 10, ტელ. 71-21-20.

**ქალაქის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი:**

№ 37 — ქ. ქუთაისი, კიროვის ქ. № 93-ა, ტელ. 5-35-03;

**ტექნიკური სასწავლებლები:**

№ 27 — ქ. თბილისი, ბ. ხმელნიცკის ქ. № 6, ტელ. 74-34-67; № 29 — ახალციხის რაიონი, დაბა ვალე, სტალინის ქ. № 28-ა, ტელ. 4-17; № 34 — ქ. თბილისი, კამოს ქ. № 68, ტელ. 95-34-24; № 35 — ქ. თბილისი, კალინინის ქ. № 60, ტელ. 95-62-38; № 41 — ქ. თბილისი, მოსკოვის პრ. № 19, ტელ. 71-11-50; № 42 — ქ. ქუთაისი, კოსმონავტების ქ. № 65, ტელ. 6-87-11; № 43 — ქ. თბილისი, ხუთწლედის ქ. № 65, ტელ. 66-16-62; № 74 — ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. № 10, ტელ. 71-21-20; № 76 — ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. № 84, ტელ. 2-62-60; № 86 — ქ. რუსთავი, ბოსტან-ქალაქის ქ. № 3; ტელ. 19-24-82; № 90 — ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. № 159; № 92 — სამტრედიის რაიონი, სოფელი კულაში.

ამ სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები მიიღებენ ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთვლილ პროფესიას:

მქსოველის, მრთველის, კაცისა და ბავშვის კოსტუმებისა და პალტოს მკერავის, ქალისა და ბავშვის ზედა ტანსაცმლის მკერავის, მკერავ-მოტორისტის, პურ-ფუნთუშეულის მცხობელის, კონდიტერის, რადიოსატელევიზიო აპარატურის მომსახურე შემკეთებელი რადიომექანიკოსის, საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ელექტრომოწყობილობათა შემკეთებელი ელექტროზეინკლის, მსუბუქი ავტომანქანების შემკეთებელი ზეინკლის, ფოტოგრაფის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის გამყიდველის, მზარეულის, ხორცის გადამამუშავებლის, ამწყობი ლინოტიპისტის, ღრმა ბეჭდვის მბეჭდავის, ოფსეტური ბეჭდვის მბეჭდავის, აქაინძავის და სხვა პროფესიებს.

რადიოსატელევიზიო აპარატურის მომსახურე შემკეთებელი რადიომექანიკოსის, საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ელექტრომოწყობილობათა შემკეთებელი ელექტროზეინკლის, მსუბუქი ავტომანქანის შემკეთებელი ზეინკლის პროფესიებზე ჩასარიცხავად საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდებს საგზურებს აძლევენ საყოფაცხოვრებო მომსახურების ზონალური დირექციები და სადგურები, სხვა საყოფაცხოვრებო მომსახურების პროფესიებზე კი შესაბამისი სამმართველოები.

**მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობისათვის კვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებენ:**

**ქალაქის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები:**

№ 3 — ქ. რუსთავი, ტაშკენტის ქ. № 7, ტელ. 12-69-96; № 16 — ქ. რუსთავი, ქიმიური ბოჭკოს ქარხნის ტერიტორია, ტელ. 19-21-56; № 99 — ქ. ზესტაფონი, ფეროშენადნობთა ქარხნის დასახლება.

**ქალაქის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი:**

№ 20 — ქ. ჭიათურა, გაგარინის ქ. № 5, ტელ. 32-26.

**ტექნიკური სასწავლებლები:**

№ 94 — ქ. რუსთავი, ტაშკენტის ქ. № 7, ტელ. 12-69-83; ქართულ-რუსული № 104 — ქ. რუსთავი, ნ. ნიკოლაძის ქ. № 3, ტელ. 12-06-90.

ამ სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები მიიღებენ ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთვლილ პროფესიას:

მეტალურგიული წარმოების ამწის მემანქანის, მეფოლადის დამხმარის, მეტალურგ-მდნობელის, ელექტროშემდუღებლის, ელექტროზეინკლის, ელექტროქიმიკოსის, ქიმიური წარმოების ფართო პროფილის მეაპარატის, მგრეხავის, ქიმიური წარმოების ტექნოლოგიური პროცესის კონტროლიორის, ძაფის გადამხვეველისა და სხვა პროფესიებს.

**საზღვაო ფლოტის, რკინიგზის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობისათვის კვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებენ:**

**ქალაქის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები:**

ადმირალ ისაკოვის სახელობის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი № 1 — ქ. ბათუმი, მარქსის ქ. № 2, ტელ. 3-36-40; № 12 — ქ. ფოთი, ტაბიძის ქ. № 12, ტელ. 11-12.

**ტექნიკური სასწავლებლები:**

ლენინური კომკავშირის სახელობის ტექნიკური სასწავლებელი № 31 — ქ. თბილისი, ოქტომბრის ქ. № 134, ტელ. 66-79-62; № 65 — ქ. თბილისი, ნ. ნარიმანოვის ქ. № 8, ტელ. 72-44-44.

**ამ სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები მიიღებენ ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთვლილ პროფესიას:**

**საზღვაო ფლოტის I კლასის მეზღვაურის, გემის I კლასის მოტორისტის, გემის მემონტაჟე ზეინკლის, გემის კორპუსის ამწყობის, ელმავლის მემანქანის თანაშემწის, მოძრავი შემადგენლობის ელმავლის შემკეთებელ-ზეინკლის, სადგურის მორიგის, ვაგონის გამცილებლის, მრჩილავ-მეკაბელის, ტელეგრაფისტის, ტელეფონისტის, კავშირგაბმულობის ოპერატორის და სხვა პროფესიებს.**

კურსდამთავრებულები მიღებული პროფესიის მიხედვით განაწილებული იქნებიან საბაზო ორგანიზაციების საწარმოებში და მიეცემათ ხელფასი მინიჭებული თანრიგისა და კვალიფიკაციის შესაბამისად.

სასწავლებელში ახალგაზრდების ჩარიცხვა წარმოებს მიმღები კომისიის სხდომებზე გასაუბრების გზით და ატესტატში ნაჩვენები ნიშნების გათვალისწინებით. იმ პროფესიებზე ჩასარიცხავად, რომლებიც რომელიმე საგნის უფრო ღრმა ცოდნას მოითხოვს, ეწყობა გამოცდა. მოსე თოიძის სახელობის თბილისის № 11 საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებელში გამოცდები მოეწყობა ხატვასა და კომპოზიციაში.

**სასწავლებელში ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭებათ ახალგაზრდებს, რომლებსაც სასწავლებლად საგზურებით გზავნიან საბაზო ორგანიზაციები, წარმოებები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, კომკავშირული ორგანიზაციები, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულებს, საბაზო ორგანიზაციებში მომუშავეთა შვილებს, ობლებს, საბავშვო სახლის აღზრდილებს, I და II ჯგუფის ინვალიდების შვილებს.**

საბჭოთა არმიიდან დემობილიზებული ახალგაზრდები პროფტექნიკურ და ტექნიკურ სასწავლებლებში მიიღებიან სწავლების შემცირებული ვადის ჯგუფებში (8-10 თვე) და სწავლების მთელ პერიოდში ეძლევათ გადიდებული სტიპენდია (65-90 მან.).

**საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მიიღებიან 15-17 წლის 8 კლასის განათლების მქონე გოგონები და ვაჟები. ჩვეულებრივ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში — 15-20 წლის ახალგაზრდები, ხოლო ტექნიკურ სასწავლებლებში — 17-25 წლის საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები.**

ჩარიცხული ახალგაზრდები, რომლებიც არ გამოცხადდებიან მეცადინეობაზე უმიზეზოდ 10 დღის განმავლობაში, სასწავლებლიდან გაირიცხებიან.

მოსწავლეებს სასწავლებლებში სწავლების მთელი პერიოდი უწყვეტ შრომის სტაჟად ეთვლებათ.

სასწავლებლებში სწავლა უფასოა. გარდა ამისა, ქალაქის საშუალო და პროფტექნიკურ სასწავლებლებში მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან კვებით, ტანსაცმლით და სპეცტანსაცმლით, ხოლო სოფლის საშუალო და პროფტექნიკურ სასწავლებლებში — კვებით, ტანსაცმლით, სპეცტანსაცმლით და სტიპენდიით.

ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებს, რომლებსაც ყველა საგანში კარგი აკადემიური წარმატება ექნებათ, მრეწველობის დარგის შესაბამისად მიეცემათ სტიპენდია თვეში 30-37 მანეთის ოდენობით, ხოლო ფრიადოსან მოსწავლეებს 25 პროცენტით მეტი.

გარდა ამისა, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის ყველა სასწავლებლის მოსწავლეს მიეცემა საწარმოო პრაქტიკის პერიოდში გამომუშავებული თანხის 33 პროცენტი, სოფლური მრეწველობის პროფესიებში კი — 50 პროცენტი.

**საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სწავლების ვადა 3 წელია, ხოლო ჩვეულებრივ პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკურ სასწავლებლებში — 1-2 წელი.**

საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულებს ეძლევათ დიპლომი საშუალო განათლების დამთავრებისა და პროფესიის მიხედვით თანრიგის მინიჭების შესახებ, ხოლო იმათ, ვინც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი — წარჩინების დიპლომი, ჩვეულებრივ პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულებს — საწარმოო კვალიფიკაციის მინიჭების ატესტატი.

**რესპუბლიკის პროფტექგანათლების სისტემის სასწავლებლებში სწავლა წარმოებს ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.**

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, ქალაქების: თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ცხინვალის, ფოთის, გორის, ზუგდიდის, აგრეთვე ბორჯომის, გარდაბნის, ბოლნისის, მახარაძის, სამტრედიის, ხაშურის, ცხაკაიას, ხობის, ზუგდიდის, ლაგოდეხის, ახალქალაქის და წალკის რაიონების ყველა სასწავლებელში შექმნილია რუსულ ენაზე სწავლების ფაკულტეტები და ცალკეული ჯგუფები.

სომხურ ენაზე სწავლების ფაკულტეტები შექმნილია ახალქალაქისა და წალკის სასწავლებლებში, ხოლო ცალკეული ჯგუფები — თბილისის № 95 საშუალო, № 27 და № 38 ტექნიკურ, რუსთავის № 86, ვალეს № 29 და ახალციხის № 101 საშუალო პროფტექსასწავლებლებში.

აზერბაიჯანულ ენაზე სწავლების ფაკულტეტები შექმნილია: გარდაბნის № 10, კაზრეთის № 25 და მარნეულის № 70 საშუალო, გარდაბნის № 47 პროფტექნიკურ სასწავლებლებში, ხოლო ცალკეული ჯგუფები — თბილისის № 49, სართიჭალის № 85 ტექნიკურ და ლაგოდეხის № 88 სოფლის საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებლებში.

ცხადდება აგრეთვე მოსწავლეთა მიღება სამშენებლო პროფილის საღამოს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში № 100 — ქ. თბილისი, ბუდაპეშტის ქ. № 1, ტელ. 37-12-33, აგრეთვე საღამოს სწავლების ცალკეულ ჯგუფებში: თბილისის №№ 6, 23, 24, 26, 31, 35, 36, 38, 43, ქუთაისის № 4, ფოთის № 12, ველისციხის № 13, რუსთავის № 16, ქარელის № 40, სართიჭალის № 85, ხიდისთავის № 106 სასწავლებლებში, სადაც წარმოებისგან მოუწყვეტლივ მიიღებიან ის ახალგაზრდები, რომლებიც ამ სასწავლებლების საბაზო საწარმოებსა და ორგანიზაციებში მუშაობენ.

საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულები, რომლებმაც წარჩინების დიპლომი მიიღეს, უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის დროს სარგებლობენ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ოქროს მედლითა და საშუალო სპეციალური სასწავლებლის წარჩინებულ კურსდამთავრებულთათვის დადგენილი უპირატესობით.

პროფტექნიკური სასწავლებლების ცალკეული ჯგუფებისა და ტექნიკური სასწავლებლების ფრიადოსან კურსდამთავრებულებს, რომლებსაც აქვთ საშუალო განათლება, უფლება ეძლევათ მოეწყონ საერთო წესის საფუძველზე, უმაღლესი სასწავლებლის დღის განყოფილებაზე, ხოლო საღამოს დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე — უკონკურსოდ სავალდებულო სამუშაო სტაჟის უქონლად.

დანარჩენ კურსდამთავრებულებს, რომლებსაც აქვთ საშუალო განათლება, შეუძლიათ მოეწყონ უმაღლესი სასწავლებლის საღამოს დაუსწრებელ და დასწრებულ განყოფილებებზე, არსებული წესების საფუძველზე.

რაიონიდან ჩამოსული ახალგაზრდები, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

**სასწავლებლებში მიღების შესახებ განცხადება შემსვლელმა უნდა შეიტანოს დირექტორის სახელზე, ამასთან აღნიშნოს არჩეული პროფესია.**

**განცხადებას უნდა ერთვოდეს:** განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), ავტობიოგრაფია, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ოთხი ფოტოსურათი (3X4), საწარმოს, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის ან სხვა ორგანიზაციის მიმართვა (იმ პირებზე, რომლებიც სასწავლებლად იგზავნებიან).

სასწავლებელში შემსვლელი პირადად წარადგენს პასპორტს, მიწერის მოწმობას (გასაწვევი ასაკის) ან სამხედრო ბილეთს (სამხედროვალდებული).

**საბუთები მიიღება: საშუალო და ქალაქის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში — 25 აგვისტომდე, ტექნიკურ და სოფლის პროფტექნიკურ სასწავლებლებში 25 სექტემბრამდე, მოსე თოიძის სახელობის თბილისის № 11 საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებელში — 31 ივლისამდე, ხოლო გამოცდები დაიწყება 1 აგვისტოდან.**

**სწავლა დაიწყება საშუალო და ქალაქის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში 1 სექტემბერს, ხოლო ტექნიკურ და სოფლის პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 1 ოქტომბერს.**

**შენიშვნა:** დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება სასწავლებლებში, აგრეთვე საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სასწავლო დაწესებულებათა სამმართველოსა და მოსწავლეთა აღრიცხვის, დაგეგმვისა და განაწილების განყოფილებაში. თბილისი, კამოს ქ. № 68. ტელ. 95-25-88; 95-88-51, აგრეთვე ქ. თბილისის აღმასკომის პროფტექგანათლების განყოფილებაში, ტელ. 93-44-01, 99-02-66.









საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გარდაბნის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგე

თენგიზ დორეთის ძე
ლეკვეიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**ჩვენი მისამართი და ტელეფონები**

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეები—93-98-98, 93-03-98, პ/მ მდივანი — 99-72-80, სამდივნო — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-58-91, ინფორმაციის — 93-16-30, უცხოეთის — 99-69-21, წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54.



საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14